

# სახალხო ბაზუქი

სურათებიანი ჟამათები

ბაზუქის № 854

ლაშაბის № 150

კვირა, 24 მარტი 1913 წ.

## სკოლავანიშენი

ტოკავდა... ტოკავდა პატარა ნარგიზი,  
 პატარა ნარგიზი, კოხტა და ფაქიზი;  
 ტოკავდა... და მიკვირს, თუ რამ აატოკა!  
 ტოკავდა უქაროდ, ტოკავდა მარტოკა...  
 მოვწყვიტე ნარგიზი, მოვწყვიტე ფრთხილად  
 და ქალის გულ-მკერდსა დავაკარ ღილადა!  
 და გული აღმოჩნდა ისეთი ცივი, რომ  
 გაქვავდა ნარგიზი... გაჰყინა წყეულ დრომ.  
 მას შემდეგ აღარ მწამს მარტო გარეგნობა  
 და ვამბობ, რომ ქალებს არა აქვთ ღრმა გრძნობა...  
 და, მაშ, თუ უღვივის ქალს გრძნობა ფაქიზი,  
 რად დასკვნა ნარგიზი, რად დასკვნა ნარგიზი!!

ი. გრიშაშვილი.

## ახრწილი სიკვდილისა

30. \*)

გავიდა ზაფხული. გაიკრიბნენ  
 მოაგარაკენი ქალაქებში. ყვე-  
 ლამ თავის საქმეს მიაშურა. წა-  
 ვიდა ლიზიკოს მამაც. სამ-  
 სახური ნებას არ აძლევდა, თო-  
 რემ ესე ადვილად ვერ შეეღე-  
 ოდა ის ბუნების სათაყვანებელ  
 წიარს. ელისბარის მამა კი  
 მხოლოდ ორი კვირით ამოვი-  
 და იმ ზაფხულს: სავაქრო საქ-  
 მეები ნებას არ აძლევდნენ მას  
 ხანგრძლივ გასულიყო სადმე  
 ქალაქიდან. ელისბარი გულსავ-  
 სედ შეხვდა თავის სამუშაოს ღ  
 ხალისიანად: უხვად დატვირთული შემოდგომა მოსდგომოდა  
 კარს და ახარებ-ახალისებდა მემამულის გულს. ლიზიკო ჯერ  
 არ წასულიყო ქალაქს. მაინც შემოდგომის მიწურულეზამდინ  
 იცოდა სოფლად ყოფნა: მხარში ედგა თავის დედამთილს, შე-  
 ზოდგომის მოსავალს მასთან ერთად აბნავებდა, ღვთის მოცე-  
 მულ სარჩოს შენახვაში ჰშველოდა. ბევრ შრომის ნებას კი  
 არ აძლევდა რძალს დედამთილი: შვილიშვილს მოელოდა  
 მეორეს და ფრთხილობდა, ქალი სავენებლად არ დადლილიყო,  
 ან შემთხვევით რამე მძიმე არ აეწინა და არ დაზიანებულიყო.  
 ახალგაზდა დედაც სიხარულით მოელოდა მეორე შვილს,  
 მაგრამ, აქ, ამ სიხარულის მოლოდინში, შეყვარებულ ცოლ-  
 ქმარს დიდი უთანხმოება მოსდროდათ და კამათი: ელისბარს  
 გულით უნდოდა, მეორეც ვაჟი ჰყოლიყო და ოქროს ქორი-  
 ანი ბიჭები დაეწყვიტებინა, ლიზიკოს კი ძალიან ჰსურდა ახ-  
 ლა ქალი გასჩენოდა.

— მინდა ქალი გამჩნდეს, რომ ერთი ჩემებურად აღვზარ-  
 დო! ვაჟის აღზრდა-განვითარებაში დედა მაგდენად ვერ გა-  
 მოიჩენს თავის კარგს გავლენას: ის ვაჟაკი უნდა გაიზარდოს,  
 საბრძოლველ საქმეებში დახელოვნებულს და მამაცი, დედის  
 კი შეუძლიან ნამეტანი შიში თუ სიფრთხილე შთაუნერგოს,  
 ან კიდევ ვაჟაკისათვის უფერი ნაზობა თუ კოპწიობა შეა-  
 თვისოს. დიდის კალთაში გაზრდილი ვაჟი შეიძლება ქალაქუ-



თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საბჭო  
 და გამგეობა.  
 (იხ. გუშინდელი გაზეთი).

ნა გამოვიდეს, მე კი ძალიან  
 მეჯავრება კაცი ქალაქუნა და  
 კეკელა.

ელისბარ არ ეთანხმებოდა  
 ცოლს, არც მომავალი შვი-  
 ლის შესახებ, არც ვაჟის აღ-  
 ზრდის თაობაზე და აღელვებდა  
 გუნებნაქცევ ლიზიკოს, გააზი-  
 ზებულს. ეს ძირითადი უთანხმო-  
 ება მათ შორის იმ სამზღვრამ-  
 დინ კი მაინც ვერ აღწევდა, რო-  
 დესაც მზურვალე კოცნაც ვე-  
 ლარა ჰშველის და გულს ველარ  
 უთბობს მოკამათით. სხვა საკა-  
 მათო საქმეცა ჰქონდა ცოლ-  
 ქმარს: ლიზიკო სულ იმას ენ-  
 ვეწებოდა ქმარს, შინ დროზე  
 დაბრუნებულიყო მამულიდან,  
 არ დაეღამებინა გზაზე: ქალს

გულიც ელეოდა ლოდინით და ცოტა კიდევ ეშინოდა, რამე  
 ავი არ წაჰკიდებოდა უგზო-უკვლოდ მავალ ვაჟაკს ავაზა-  
 კისა თუ ნადირისაგან. ელისბარსაც ესწრაფებოდა სახლში  
 მისვლა, მაგრამ ხშირად ვერ ასრულებდა სურვილს: მამული  
 აქა-იქ იყო გაფანტული, ათასგანა ჰქონდა ვაჟაკს საქმე  
 და მისი ფეხმარდი მერანიც კი ველარ ამოკლებდა შარას  
 გრძელს და გზას ძნელ-სავალს.

ერთ საღამოს მეტად დაიგვიანა ელისბარმა, ქალი მაღალ  
 აივანზე გასულიყო და გზას გასცქეროდა. მიეპყრო თვალი  
 სივრცისათვის და ველარ ამჩნევდა, რომ ცივი ნიავი ტყვია-  
 სავით მოდიოდა მახლობელ მთის წვერიდან. ეს მთა ახალ შე-  
 მოდგომაზევე ითოვლებოდა და სასტიკ სიცივეს მოჰპერავდა  
 დაბას. ზაფხულობით ამ მთის ნიავი სასიამოვნო სივრცელედ  
 ეფინებოდა არემარეს, შემოდგომიდან კი აუტანელ სუსხს აძ-  
 ლევდა ჰაერს და საშიშიცა ხდებოდა ჯანმრთელობისათვის.  
 მზე ჩავიდა, ქალი მაინც იქ იჯდა გარინდებული. სათბილო-  
 ბელი არ ესხა, ზაფხულში მსუბუქად ჩაცმას ჩვეულს, ჯერ ვე-  
 ლარ ეხერხებოდა თბილად დაბურვა. იგრძნო სიცივე, უსიამ-  
 მოვნო ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. უნდოდა შებრუნებუ-  
 ლიყო შინ, მაგრამ დაეზარა: მთელი სხეული რაღაც სიძიმეს  
 მოეცვა და ქალს ვერ მოეჩერებინა ადგილიდან დაძვრა. ახ-  
 ლოც არვინ იყო დაესაქმებინა და სათბილობელი გამოეტა-  
 ნინებინა. სიცივე უფრო დაერია ქალს და შეაჟრჟოლა ძლიერ-

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 149.

რად. დედამთილი შინ არ იყო, თორემ ვერ გამოვპარებოდა მას რძლის დაუდევრობა. ქალი შებრუნდა შინ, მაგრამ გვიანდა იყო: ველარ გათბა და ველარ! ვერც ოთახმა და უშველა, ვერც თბილმა წამოსასხამმა. დედამთილი რომ მოვიდა, ქალი ისევ თრთოდა და ცახცახებდა. არ უამა რძლის ესეთი ყოფა. მაშინვე ცეცხლი დაანთებინა, ცხელი წყალი მიაშვე-



ბ. ჯ ა ბ ა შ რ ი

სახალხო სახლის სცენის მოყვარე, რომელსაც ამ დღეებში საიუბილეო წარმოდგინას უმართავენ სახალხო სახლში.

ლა, ქალს ესიამოვნა მხიარული ბუხარი და შეთბა. ელისბარი რომ მოვიდა და შეხედა მეუღლეს, შეკრთა, თითქო გულზე რაღამაც უკბინაო, და ყვედრებით გადახედა დედას.

— რას იჯექი, ქალო, ი სიცივეში? აკი სულ იმას გეუბნები, ავი ქარი იცის მეთქი იმ წინგარდზედ. სათბილობელს რასმე მაინც ჩაიცვამდი.

— შენ გზას გამოგყურებდი, აი ეხლა გამოჩნდება მეთქი, აი ეხლა. აკი სულ იმას გეხვეწები, არ დაიგვიანო ხოლმე.

მეორე დღეს არა უშავდა-რა ქალს, მხოლოდ სურდო შეაჩნდა უბრალო. საქმეში გართულმა ვაჟაკმა გადაივიწყა ეს უსიამოვნო შემთხვევა. ოჯახში ყველა დაადგა ისევ ჩვეულებრივ შრომას.

31.

მესამე დღეს ისევ შეაჟიჟინა და სიცხე მასცა ქალს. ყელშიც უფრო მოუჭირა, სურდომ უმატა, ხამალდად გარდაიქცა. მოიყვანეს ექიმი. ვასინჯა, ციების წამალი მისცა, ხველებისთვის რამ ფხვნილი დაუნიშნა და წავიდა. საშიში არაფერია, მკირედ გაცივებულაო, სთქვა. მაგრამ ვერ სძლია მისმა წამლობამ ეს მკირედი გაციება; აღარ ნელდებოდა ავადმყოფობა, თან და თან ძლიერდებოდა: ხველა დაუღრმავდა, გული შეეხუთა, სუნთქვა გაუძნელდა, ახრიალდა. სახუმარო აღარ იყო ეს. შეფიქრიანდა ექიმი, შეეცადა, მაგრამ კარგად ვერ იღებდა ავადმყოფობას მიზანში და წამალი სცდებოდა მას. ვერ გაანადგურა ავადმყოფობა, ვერ შეამცირა, ვერ შეასუსტა, ვერც კი შეარყია. შემძიმდა ქალი. სენმა დაიწია ძირს, იგი მთლად მოედო ფილტვებს და ჩააგდო ქალი ლოგინად. მაშინ კი შეშინდა ექიმი; მიხვდა, რომ აქ მისი ცოდნა და გამოცდილება საქმარისი აღარ იყო. და შეატყობინა თავისი ექვი და შიში ელისბარს. მიიწვიეს გათქმული ექიმი, თითონ ელისბარის მამამ ამოიყვანა ის ქალაქიდან. ნახეს, ბჭობა გამართეს. წამლები დაიბარეს სწრაფად. ახალი ექიმი ჩააფიქრა ავადმყოფობამ.

— ამ ქალს სიქლექე ხომ არ მოუღდის გვარად, ვინმე მახლობელი ხომ არ მოჰკდომია ამ სენით?—იკითხა მან.


ყველა შეკრთა. გაახსენდათ, რომ ლიზიკოს დედა ქლექს გაეტანა ახალ ქალობაშივე და უთხრეს ექიმს. უფრო დააღონა ამ ამბავმა ის. ძალიან ენანებოდა ქალი. ავადმყოფობამ სა-

შიში ხასიათი მიიღო, სახიფათო. ლიზიკოს მამაც მოვიდა გულგახეთქილი. იმასაც ექიმი წამოეყვანა თან. მაგრამ ავადმყოფობას თავი ეპოვნა, გაძლიერებულიყო, სრულებითაც აღარ ეპოვებოდა აღარც ექიმებს, აღარც წამლებს. ქალის ავებულებაში შეუქმნევლად მიმალულ სენის თესლმა გაიდვიდა, აღივდა, იბარტყა, მსწრაფლ გაიზარდა, გადიშალა და მთლად დაჰრია ხელი სნეულს. იმედი დაეკარგათ ექიმებსაც, პატრონსაც.

ელისბარი აღარ მოჰშორებია ძვირფასი ავადმყოფის სარეცელს. ჩაჰყურებდა ქალს, უაღერსებდა, ჰკოცნიდა, ანუ-გეშებდა თვით უსასოქმნილი. ვერაფერი უებარი წამალი გამოდგა აღერსი თუ კოცნა საშინელი სენის წინააღმდეგ, რომელიც ცეცხლივით მოსდებოდა ქალის ავებულებას. ექიმებიც, ელისბარის მახლობლებიც კდილობდნენ როგორმე გაფრთხილებოდნენ ვაჟაკს, რომ საშიში სენი არ გადასდებოდა ახლა იმას, მაგრამ ელისბარს თავის უბედურობის მეტი აღარა ახსოვდა რა, ვერც არასა ჰხედავდა სხვას, არც არაფერი ესმოდა მის გარეშე. დაჰყურებდა იგი თავის სატრფო მეგობარს საშიშად დაავადებულს და უკვე ჰგრძნობდა მის სარეცელის თავით შავ სულთამხუთავს, რომელიც ელანდებოდა თვით ავადმყოფს. ერთ წუთსაც ვერ დაანებებდა მას თავს, ვერ მოჰშორდებოდა ვერც ერთს წამს. კდილობდა გაემხნევებინა მდებარე, ზრუნავდა რამე ნირი არ შეჰშლოდა მას, რომ ეგებ როგორმე გამოეტაცნა ეს ნორჩი სიცოცხლე ავი სულისათვის. ხავს რასმე ექიდებოდა წყალ-წალღებული!

ეხლა ცხადად წარმოსდგომოდა ელისბარს ის ლერწამი დაჩქქილი, რომელიც შენიშნა ოდესმე ხევის პირას. ნანობდა, რომ მაშინ ისე გარეწრად მოექცა იმ მცენარეს: მალამო არ დაადო, ამყოლი რამ სარი არ მისცა სიმაგრედ და არ განკურნა იგი.

— ალბად შემდეგში ქარმა წააქცია ის, ხოლო ტლანქმა რამ ფეხმა ჩაღეწა და ჩაანადგურა. თურმე კი ლიზიკოს მომასწავებელი იყო ის ლერწამი ნამზნევი, მისი ბედის განხორციელება და ნიშანი.



მედიკალური სფინქსი.

ინგლისელმა მეცნიერმა ამ სფინქსში აუარებელი დარბაზები აღმოაჩინა.


— ვერ გავუფთხილდი ქალს, ვერ მოვეუარე რიგზე, ამაო ზრუნვითაგან გატაცებულმა თვალი მოვარიდე საუნჯეს ფასდაუდებელს, გარეწრად მოვექეცე და, დახე, ჩემის ხელითვე გავსტყორცე უფსკრულში ჩემი ბედნიერება, ჩემი აწმყო თუ მომავალი!—ფიქრობდა ვაჟაკი ჩაბნელებული.

ქალი კი იბრძოდა გაწამებულ-გამწარებულს, სწუხდა გამოუთქმელად, ბორავდა, მოსვენებას ვერ პოულობდა, აწყვეტდა მკლავებს საბრალოდ.

— მიშველე, ელისბარჯან! მოახლებულია ჩემი სიკვდილის დღე. არ მინდა მოვეკდე! ჯერ ხომ სწორედ არც კი დავმტებარვარ სიცოცხლით, ჯერ ხომ ესე ახალგაზდა ვარ. ნუ გამი-

შეგებ, ნუ გამატან სიკვდილს! შენც ხომ დაობლდები, ხომ აღარ გეყოლება შენი ლიზიკო! — ეუბნებოდა ავადმყოფი და ხელს მაგრა უჭერდა, თითქო მართლა ძალა ედვა ბეჩავ ელისბარს შეემავრებინა იგი ამ ქვეყნად და განედევნა მის თავით მდგომი სულთამხუთავი.

ელისბარ ჩასჩერებოდა ავადმყოფს და თვალეში მხოლოდ უსახსრობა ეხატებოდა უძლური, სასოწარკვეთილება ბნელი, სევდა უსამზღვრო, მძიმე, აუტანელი. რა უნდა ემ-



პურის სარკვევი პეილისა.

საკუთრება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

ველნა ქალისათვის, ან რითი, როცა ძლევამოსილ ავადმყოფობას ფოცხვერივით ჩაეჭირნა ქალისთვის ბასრი მბრქვალები და სწოვდა სიცოცხლეს, აღჩობდა?!

32.

ჩაპყურებდა ძვირფას ავადმყოფს იმედ-მიხილი ვაჟკაცი და ჰსურდა ღრმად აღებეკდა გონებაში მისი შეუღარებელი სახე, თუ იერი. ხელს არ აშორებდა ქალს, ეგონა სიახლოვით და შეხებით თვის ძალ-ღონეს გაუზიარებდა ძალმიხილ ქალსა. ქალიც სრულებით ველარა სძლებდა უმისოდ; თუ მცირედენ ხანს მიეფარებოდა კაცი მის თვალთაგან, შფოთვის უმატებდა და ატირდებოდა საბრალოდ. სხვები ყველანი უარპყო ავადმყოფმა, არავის ყოფნა აღარ ესიამოვნებოდა ოთახში, აღარავისგან აღარ მოელოდდა რამე ნუგეშს, თუ ლხენას.

— ნუ მომშორდები, გენაცვალე, ნუ გახვალ აქედან! ახლო მოდი, ხელს ნუ მომაშორებ. მინდა სულ შენ გიყურო, თვალს რომ ავახელ, მხოლოდ შენ დაგინახო; მინდა ახლო გგრძნობდე, ძალიან ახლო! იცი, გენაცვალე, ბუნდალ და ვხედავ ყველაფერს, შორიდან. შენც კი ბუნდალ გხედავ, თითქო შორიდან მესმის შენი ხმა. ალბად მივიღივარ იმ ქვეყნად, მივესწრაფები.

— ნუ, გენაცვა, ნუ შეშინდები! შეებრძოლე ავადმყოფობას: ჯერ მთლად ახალგაზდა ხარ, ჯან-ღონით სავსე და როგორ შეიძლება ეგეთი მოუძღლურება და უიმედობა.

— იცი, გენაცვალე, რა ფიქრი მაწუხებს ეხლა?

— რა ფიქრი, საყვარელო?

— ვაი თუ საიქიოს ველარ გიბოვო, ან ველარ გიცნო. ვაი თუ ეს ბინდი თან გამყვეს, უფრო ხშირმა ბინდმა დამბუროს იქ და ველარ გაგარჩიო, როცა შემდეგში, ბევრი, ძალიან ბევრი წლების შემდეგ, შენც მოხვალ იმ ქვეყანაში. თუ ველარ გნახავ, სამოთხეშიც ხომ ბნელი იქნება ჩემთვის, მაშინ ხომ გაუვალნი წყვდიადი მომიცავს მე და დამფარავს ბნელი გარესქნელი. საუკუნოდ მარტო დავრჩები მაშინ და დაუსრულებელი სევდა დამაწვება გულზე, როგორც რამ ლოდი მძიმე, უზარმაზარი. უჰ, როგორ საშინლად მაწევს გულზე, სუნთქვას მიხუთავს, ჰაერი აღარ არის. ფანჯარა გააღე, გენაცვა!

— როგორ ხრიალით ამოდის სუნთქვა! აბა ყური დაუგდე, აბა, დამადე ყური, — უთხრა ქალმა და უძლური ხელით ვადისხნა გული.

დაინხრა ელისბარ, მოხვია ქალს მკლავი, ჩაღვა თავი აწ მიმტკნარებულ და მოშვებულ ნეტარების ბორცვთა შორის და ცრემლით დააღტო იგინი ვაჟკაცმა, მაგრამ ცრემლი, ცხე-

ლი ცრემლი, როგორ გააგრძობდა იმ მწვავე ცეცხლს, რომელიც მოსდებოდა ამ მარგალიტის რამ ბუშტებს, რომელიც სწვავდა მათ, ანადგურებდა, ჰნავლავდა?!

— იცი, ელისბარ, მე ვერ გავძლებ უშენოდ, სრულებითაც ვერ გავძლებ შენს უნახავად! მოვალ ხოლომე, დაგხედავ, მოგესალმები შენც და ჩვენ ბიჭიკოსაც. ძალიან შევეხვეწები, ცრემლით შევევედრები და გამომიშვებენ. რომ გაიგონო ნელი ხმა ან ძახილი, თუ იგრძნო ოდნევი რამ შეხება, იცოდე, მე ვარ! — თქვა ქალმა და შეშფოთდა, მკლავები გადაყარ-გადმოყარა, თითები აათრთოლა.

— სანდრო მიჩვენე! მინდა ჩემი ბიჭიკო ვნახო. — შესთხოვა ქალმა, როცა კოტა დაწყნარდა.


შემოიყვანეს ბაღლი. ქალმა მიიახლოვა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა, ბუნჩულა თათები დაუკოცნა და გააყვანინა ისევ.

— იცი, საყვარელო, ის უფრო მაწუხებს, რომ ჩვენი მეორე შვილი ჩემთან უნდა მოკვდეს, ძალიან მიმიძიმს, რომ თან უნდა გავიყოლო საწყალი.

ახლა ცხადად დაეტყო ქალს, რომ დღე მოსწრაფებოდა: თვალეში გაუცრიატდა, ხმა მოუდუნდა და დაეშვა, სუნთქვა გაუძნელდა, ხველა ჩაუყრუვდა, ხრიალს უმატა. დაძლეული ექიმი კიდევ რაღაცას სცდილობდა, ფათურობდა, მაგრამ ყველა მის მოძრაობაში სჩანდა, რომ ამოდ და მოქმედებდა მითომ ავადმყოფის საშველად. სევდით გამშრალი მახლობელი გარს შემოჰხვევოდნენ განწირულს. ვერ მოაცილეს ელისბარ სულთმობრძვავს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდინ ხელი არ გაუშვია, არც თვალი მოუშორებია.

ისეთი ესვენა ქალი კუბოში, როგორც ქანდაკება მარმარილოსი. სიყვითლე რამ გადაჰკროდა მცირედი, ისევ კი სავსე იყო, არ ჩარჩულიყო: სწრაფმა ავადმყოფობამ ვერ დააღწია ქალი, ვერც ჩაფერფლა. დასწყნარებოდა სახე, დაჰმშვიდებოდა სამუდამოდ, მაგრამ ღრმა რამ ნაღველი თუ სიმწარე აღბეჭდოდა ზედ, დახშულ ბაგეს გარს შემოჰხვევოდა იგი სევდა გამოუთქმელი.

ქალის მამა შეშმიშვივით შეიქმნა. თითქო ჯერ ვერ გათვალისწინებინა მთელი სიხვედ მისულის უბედურებისა, და იძროდა უზაროდ, ხან ერთთან მივიდოდა თითქო რისამე სათქმელად, ხან სხვასთან. კუბოს უახლოვდებოდა, გარს უვლიდა. უნდოდა ეთქვა, ჩაეძახა, ენას კი ვერ იგნობდა, სიტყვას ვერ ახერხებდა.



პურის სარკვევი ძმათა რებერთა.

საკუთრება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

წირვის დროს დედამთილმა ველარ შესძლო მოთმინება, წარსდგა წინ, გაუსწორა მიცვალბულს შოლტივით ნაწნავები, გულზედ რომ ეყარა, და დაიძახა:

— ცოდვა არ არის ეს ძვირფასი ქალი მიწამ შექამოს?!

— ცოდვა! აფსუსია! ოღონდაც რომ ცოდვა! — გაისმა ხალხში და შეუერთდა იგი ხმა ხალხისა გალობას დარღიანს, სამგლოვიაროს.

როცა სასაფლაოზე დაჰხვეს კუბო და დაჰკრეს ლურსმანი, ელისბარს მოუთმენლად მოუნდა ერთი კიდევ დაეხედნა თავის მიცვალბულისათვის. უშლიდნენ, ნებას არ აძლევდნენ, ეხვეწებოდნენ აღარ შეერყია წყვდიადი მღუმარება განსვენე-

ბულისა, მაგრამ არა ქმნა, არ დაიშალა! აჰხადეს კუბო. ელის-  
ბარ დაეცა მუხლებზე, შეახო ხელი დაფენილს წამწამს და  
შეუფერდა გული.

33.

ამის შემდეგ თითქო რაღაცა ბუნდი გადაეკრა ელისბა-  
რის გონების თვალს და აღარც მოჰპოვებია მას იგი ბუნდი.  
ისე ფიქრობდა ეხლა ფიქრნაწვევი ვაჟკაცი, თითქო მძიმე რამ  
ძილს ვერ გამოჰკრევეია და თავს ვერ მოჰგებიაო. თითქო ვერ  
დაჰპრუნებოდა სრულ ცნობიერებას განათებულს და გაბრწყინ-  
ვალეზულს, ვერა მისწვდენოდა აზრს ნათელს და მკაფიოს.  
მის თავში ათასი ფიქრის ნაგლეჯი ირეოდა, უმზავსი ნაფლე-  
თები ტლანქი რამ აზრებისა; უხერხულად იჯგუფებოდნენ იგი-  
ნი ცნობიერების კარებში, ქუჩდებოდნენ იქ, ერთმანეთს ეცი-  
ლებოდნენ სინათლეზე გასვლას, გარნა ვერც ერთს ვერ გაე-  
ხწია გაშუქებულ ველზე ნათელის ცნობიერებისა, რომ დას-  
რულეზულიყო იქ გამთბარ-განათებული. ვერც რამ გარკვეუ-  
ლი ღ ნიშანდობრივი გრძობა გაძლიერებულიყო მის გულში,  
თუნდ გრძობა მწარე, ოღონდ კი სრულქმნილი, დამთავრე-  
ბული, განსაზღვრილი სახის მექონი. უკიდურეს, უაზრო სევ-  
დის წყვილიადში არეულიყვენ უფრო რამ გრძობები, გადას-  
ქდობოდნენ ერთმანეთს დაღარათულნი; ერთმანეთზე მიჯრლ-  
მიქუჩებულთ დაჰკარგოდათ თვის განკერძობული სახე და  
შესაზარი რამ სახე მიეღოთ გველთა ბრბოსავით შეგუნდე-  
ბულ-გადახლარათულთ. მძიმედ და ფეოქავიდა მათის გეკლით გავ-  
სებული გული ზარდაცემული. შენდგარიყო ვაჟკაცის სურ-  
ვილთა მწყობრი დენაც. რაკი უმთავრესი მისი სურვილი ვერ  
აღსრულდა, რაკი ვერ იხსნა სიკვდილისაგან თვისი მეუღლე,  
მისი ცხოვრების გზის მანათობელი თუ აზრის მიმცემი, ვე-  
ღარც ერთი გარკვეული გრძობა ვეღარ ამოტივტივდა სურ-  
ვილთა უფსკრულიდან, რომ ამოძრავებინა ვაჟკაცი სამოქმე-  
დოდ; ვეღარც ერთი მისი ლტოლვილება ვერ დამთავრებუ-  
ლიყო, ვერ გაძლიერებულიყო იქამდინ, რომ გაეტაცნა იგი  
და ამოქმედებინა მისი ნებისყოფა. დაჰკარგოდა ვაჟკაცს აზ-  
რი ცხოვრებისა, მოსპობოდა მიზანი არსებობისა, გაჰქრობო-  
და ის სხივი, რომელიც გზას უნათებდა მას და აწ მისი სი-  
ცოცხლის ნავი უაზროდ მიდმოდიოდა ცხოვრების ზღვაზე, სა-  
ქე მომტვრევილი, აფრებ დაფლეთილი. ვაჟკაცის გული, გო-  
ნება და ნებისყოფა, გაეყინა მისადმი მიწვენილ უბედურობის  
სუსხს და უხზარ ექნა იგი ცხოვრების დენისთვის. მთლად დაჰ-  
კარგო და ელისბარს ეშხი არსებობისა, სურვილი სიცოცხლისა.

და აკი ყოველსავე თავის საქმეს ხელი უშვა, თავი მიანე-  
ბა. მალე ისე გაიშანშლა პატრონისაგან მიტოვებული ათასი  
საქმე, როგორც დათრეული რამ ძნა, ულო დაწყვეტილი. მა-  
მამ სცადა როგორმე მიეგდო საქმეზე ვაჟკაცი, რომ დოვლა-  
თი ხელიდან არ წასვლოდა და გართობილიყო კიდევ სევდი-  
ანი, მცირედ მაინც უკუ ჰყროდა დარდი უნელებელი, მაგ-  
რამ ამაოდ: ელისბარს ვერც კი გაეგო, რას ეუბნებოდა მამა,  
გაშტერებული უყურებდა მას; ვერ შეეგნო, რადესა სთხოვ-  
დნენ მას ან რად. ორბოცის წირვაზე მოძღვარმა სცადა და-  
რიგება რამ გადაეგდო ქირისუფლისთვის და გზაზე დაეყენე-  
ბინა გზა-აბნეული:

— ღვთის ნება იყო, რაც შეგემთხვა! მის განგების გა-  
რეშე არა ხდება რა; უნდა დავემორჩილოთ მის წმიდა ნებას;  
მაშინ და შეგიმსუბუქდება სევდა. გავა ჟამი ბნელი, ამო-  
გიბრწყინდება ნათელი და ისევ იგრძობ ცხოვრების სიამეს:  
„მწუხრსა განისვენოს ტირილმა და ცისკარსა სიხარულმა“.

მაგრამ ელისბარმა უაზროდ შეხედა მოძღვარს. მისი და-  
რიგება მთლად ასცდა მწუხარის გულისყურს, ფეხი ვერ მოი-  
კიდა მის გაყინულ გონებაზე, არც დრო იყო ესეთის თქმისა  
ჯერ ისევ ახალი საფლავის წინ. შემდეგში იგივე აზრი რამ-  
დენჯერმე გაუტარეს ვაჟკაცს, მაგრამ ისევ ამაოდ: აღარა სჯე-  
როდა, რომ კიდევ რაიმე დააკავშირებდა მას ცხოვრებასთან  
და შეარიგებდა უღმობელ ბედის წერასთან. ან რაღა საჭირო  
იყო კვლავ შემბუღილიყო იგი ცხოვრების უღელში, ან რო-  
გორღა მოხერხდებოდა ეს?! ლიზიკო ხომ უბრალო მეუღლე  
არ იყო მისი, მასთან მხოლოდ შემთხვევით დაკავშირებული;  
იგი საუკეთესო განგრძობა იყო მისის არსებობისა; მის შემ-  
დეგ თავის თავს მასთანვე დამარხულად ჰგრძობდა ვაჟკაცი  
და, თუ კიდევ დადიოდა იგი ქვეყანაზე, ეს ნაღვლილი ელის-  
ბარი კი არ იყო ხორცმუსხმული, სურვილებით და მისწრა-  
ფებებით სავსე, არამედ აჩრდილი იყო მისი, მხოლოდ დროე-  
ბით საწამებლად დატოვებული უწყალო განგებისაგან, სევდის

ფილის შესასმელ-დასაცლელად. აწ ნახევრად მკვდარი იყო  
იგი, ორად გაკვეთილი. ბუნებამ იცის ესეთი სისასტიკე, რა-  
დესაც გადაქრილი სულდგმულის ნახევარი კიდევ რამდენსამე-  
ჯამს სცოცხლობს, მოძრაობს, გარნა უაზროდ და უმიზნოდ.

34.

სცადეს დაეახლოვებინათ ელისბარისთვის მისი შვილი.  
იმედი ჰქონდათ, იმაზე გადმოიტანდა ის დაკარგული მეუღლი-  
სადმი აწ უსაგნო სიყვარულს. ეს დიდ შეღავათს მისცემდა  
მწუხარეს, ახალ საგანს გაუჩენდა მის გონება-გრძობას, თუ  
სურვილებს, ახალ გზას გაუსხნიდა მის სულიერ ძალებს. ელის-  
ბარმა მოხიდა ბავშვს, მაგრამ გული კი ვერ დაუხვია პატარამ  
სევდიან მამას: ეხლა წარსულისკენ იხედებოდა ელისბარი,  
მთელი თავისი ყურადღება მხოლოდ განვილილ ბედნიერები-  
საკენა ჰქონდა მიქცეული და ვეღარა ჰხედავდა ვერც აწმყოს,  
ვერც მომავალს; ბავშვი კი მომავალს ეკუთვნოდა და ამის-  
თვის იგი კარგად ვეღარა ჰხედავდა მას გონების თვლით,  
სწორედ ვერ გაერჩია. გარდა ამისა ბავშვი ძალიანა ჰგვანდა  
დედას სახით თუ იერით და უძლიერებდა ვაჟკაცს დანაკარგის  
სიმწარეს და სიმძიმეს, უფრო უცხოველებდა დაკარგულ ბედ-  
ნიერების ძებნისა სურვილს.

ელისბარ რამდენჯერმე წავიდა სასაფლაოზე, მუხლი  
მოიდრეკა ლიზიკოს სამარესთან და დაჟინებით ჩაჰყურებდა  
მიწას; მაგრამ ის მხოლოდ მიწასა ჰხედავდა იქ, მხოლოდ მი-  
წასა ჰგრძობდა; მისმა გონებამ ნასახიც კი ვეღარა ჰპოვა აქ  
ძვირფასის არსებობა. იქ არ იყო ლიზიკოს ბინა! იქ მხოლოდ  
უმსგავსო ნაშთი დაიდვა მისის პიროვნობისა, უვარგისი გა-  
მონაცვალი, უსახო რამ ნივთიერება შესაზარი. თითონ ლიზი-  
კო აღარ იყო იქ. ქალის საფლავთან ყოველთვის არარაობასა  
ჰგრძობდა ვაჟკაცი, საზარელს და ძნელად შესათვისებელ  
არარაობას.

სადმე კი უნდა ყოფილიყო ლიზიკო! როგორ შეიძლე-  
ბოდა ისეთი უაზრობა და უსამართლობა, რომ სიცოცხლით  
სავსე, ყოვლის კეთილით შემკული ქმნილება, მოაზრე, მგრძობ-  
ზიარე, ფაქიზ და მღელ სურვილებით აღსავსე არსება მთლად  
გამქალაიყო, განქარვებულიყო, არარაობად გარდაქმნილიყო?!  
ბოლიც კი არ ჰქრება უკველოდ, კვამლი რამ უბრალო და ნუ  
თუ ისეთი ყოვლადშემკულა პიროვნება უნდა გაჰქრეს უკ-  
ვალოდ, მთლიანად?!

ვერ შესთვისებოდა ელისბარ ამ აზრს და ეძებდა იგი თა-  
ვის საყვარელს, სახლში თუ სახლ გარედ, ქალაში, ტყეში,  
მდინარის პირას, მთაში, ჰაერში, ცაში. გარნა ვერა ჰპოვებდა  
ვერსად მის კვარს და იტანჯებოდა. ეძახდა მას განწირულის  
ხმით, მოუწოდებდა ვედრებით, იგი კი არსად იყო, სრულე-  
ბით არსად! სმენად გარდაქცეული ვაჟკაცი ყურს მიუბჰრობ-  
და ქალის ხმას სასაფლაოზე თუ შინ, მათ საყვარელ ოთახებ-  
ში, ამოჩემებულ ადგილას ფიქნარში, ფერდობის ბუჩქებთან,  
წალკოტში, სადაც ისე ძალიან უყვარდა ქალს ყოფნა, მძინა-  
რე ბავშვის სარეცელთან. ყველგან შესდგებოდა სმენად გარ-  
დაქმნილ ელისბარ და დიდხანს ელოდდა გარინდებული, ეგე-  
ბა როგორმე გაეგონა მისი ტკბილი ხმა, ან ეგრძნო მისი ნაზი  
შეხება, მაგრამ ამაოდ: დაავიწყდა ქალს თვისი აღთქმა, აღარ  
ისურვა მასთან მისვლა, მისი სიახლოვე!

— ან იქნება ჩემ ბრგვილ გრძობებს ვერ ძალუძთ აღ-  
ნიშნონ და შეიგნონ იმ ქვეყნიურნი ხმები, მოძრაობა, შეხება  
ან სახე? მაშინ ხომ ძალიან დაიტანჯება ჩემი ლიზიკო, მას ხომ  
გააწამებს ის, რომ ვერ გაუგონებია, ვერ შეუხმენინებია ჩემ-  
თვის თავისი ძახილი. ვეღარ უგრძობინებია თვისი სიახლოვე  
ან შეხება!

ან იქნება მართლა მთლად განქარდა ლიზიკოს არსება  
თუ პიროვნება, განქარა უკვალოდ, აღარსად იყო აწ მასში.  
განხორცილებული სახე ღვთისა და მხოლოდ ფიქრთა სამ-  
ფლოზილოში და არსებობდა ის, მის მახლობელთა ღ მცნობთა  
ხსოვნაში.

ელისბარს მაინც ვერ შეეგნო არსის არარად ქცევის საი-  
ღუმლო, ვერ გაეთვალისწინებინა და ვერ შეეგნო სიკვდილი,  
როგორც მოსპობა არსებისა, მისი განქარება, არარად ქცევა-  
მას, ცოცხალს და არსებულს, ვერ შეეთვისებინა ქეშმარიტე-  
ბა: იყო და აღარ არს, ვერცა და თუ ჰპოვო კვალი მისი! და-  
კვლავ ეძიებდა ყველგან თავის ფსელაუდებელ დანაკარგს, ეძებ-  
და უიმედოდ, გარნა დაუცხრომელად. ასეთია ბუნება კაცისა:  
ძვირფას დანაკარგს ეძიებს იქაც, სადაც შეუძლებელია პოვნა  
მისი.

(შემდეგი იქნება)

გ. ბარნოვი.